საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1343/01
15/02/2021

1343-01-2-202102151820

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2020 წლის 29 დეკემბრის N20850 განცხადება, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ 5+530-ზე მდ. ვახაზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაციას.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 11 დეკემბრის N11764/01 წერილით გეცნობათ, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, მათ შორის ინფორმაცია წყლის საანგარიშო ხარჯების შესახებ, რაც წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაში კვლავ არ არის გათვალისწინებული. გზშ-ის ანგარიშში მოცემული წყლის საანგარიშო ხარჯის გამოსათვლელ ფორმულაში, წარმოდგენილი მონაცემების გაანგარიშების მიხედვით, მიღებულია ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, კერძოდ (1%-იანი უზრუნველყოფის) წყლის საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობა 88,1 $მ^3$/წმ უნდა შეიცვალოს 131,5 $მ^3$/წმ სიდიდით. გარდა ამისა, საჭიროა დაზუსტდეს საანგარიშო ხარჯზე დამოკიდებული ყველა საპროექტო სიდიდე (საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები). ამასთან, კორექტირებული ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ხიდის პარამეტრების დაზუსტება.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე